პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 50 (3534) 13 1968 წ. მარტი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ოლიმპიური თანამგზავრი ორბიტაზე 15 ივლისს გავა

მეხიკო, 11 მარტი. რადიოთი და ტელევიზიით XIX ოლიმპიური თამაშების ახალი ამბების გადაცემა ორგანიზატორებს თითქმის 140 მილიონი დოლარი დაუჯდებათ. სატელევიზიო თანამგზავრი „მეხიკოს ოლიმპიადა, 1968" კოსმოსის ორბიტაზე გავა 15 ივლისს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

პირველად საკუთარ მოედანზე

კიევი, 12 მარტი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ამ მატჩს მოუთმენლად ელოდნენ უკრაინელი გულშემატკივრები. ლიდერთა შეხვედრას ბევრ შეკითხვაზე უნდა გაეცა პასუხი: სამართლიანად არიან თუ არა გუნდები სატურნირო ცხრილის ზედა საფეხურებზე, ვისა აქვს უფრო ნათელი პერსპექტივა ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში; თბილისის „დინამოს" თუ კიევის არმიელთა კოლექტივს, და ბოლოს, მოულოდნელი იყო თუ კანონზომიერი უკრაინელთა წარუმატებლობა თბილისში, ჩემპიონატის პირველსა და მეორე წრეში.

ეს ყველაფერი საინტერესო გახლდათ ჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ კიევის არმიელებს თავის მოედანზე არც ერთი მატჩი არ წაუგიათ: გუნდი გუშინდლამდე II ადგილზე იყო და, ცხადია, ყოველნაირად შეეცდებოდა ამ ადგილის შენარჩუნებას. მატჩის წინ სპეციალისტები უპირატესობას მასპინძლებს ანიჭებდნენ და, ვგონებ, ეს გასაგებიც უნდა იყოს.

თამაში ორივე გუნდმა ძირითადი შემადგენლობით დაიწყო (არმიელებს არ ჰყავდათ სალუხინი, რომელიც მსაჯებმა წინა მატჩში მოედნიდან გააძევეს). პირველივე წუთიდან გახდა ცხადი, რომ მეტოქეები უბრძოლველად არ დათმობდნენ მოედნის არც ერთ მეტრს. ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა, რომლებიც შუა ტაიმში 6 ქულით დაწინაურდნენ.

სტუმრებმა კურსი სწრაფ ტემპიან თამაშზე აიღეს იმ ანგარიშით, რომ ყოველი შეტევა მეტოქისთვის მოულოდნელი ყოფილიყო. მაგრამ დინამოელთა ტაქტიკური არსენალი არც მშვიდ მანევრულ ბრძოლას ბურთის ხანგრძლივ გათამაშებას და სროლისათვის ხელსაყრელი პოზიციის შერჩევას გამორიცხავდა. ერთი სიტყვით, სტუმრები თამაშის პროცესში ეფექტურად ცვლიდნენ ტაქტიკას. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, საგრძნობლად შებოჭა არმიელთა შეტევები და მასპინძლებს პირველ ტაიმში საგრძნობლად დაწინაურების საშუალება არ მისცა. 43:41 არმიელთა სასარგებლოდ — ასეთი იყო პირველი ოცწუთიანი „რაუნდის" შედეგი, რაც უფრო მეტად „დინამოს" დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

შესვენების შემდეგ ერთგვარი მორალური უპირატესობა თბილისელთა მხარეს იყო. ეს გასაგებიცაა, რადგან მასპინძლებმა რწმენა დაკარგეს, „დინამო" კი პირიქით, აღმავლობის გზას დაადგა: გუნდმა, რომელსაც აშკარად არ გამოუდიოდა სროლა პირველ ნახევარში, მაინც მიაღწია საპატიო ორქულიან პასივს.

მეორე ნახევარში სტუმრები მთლიანად განთავისუფლდნენ ნერვიულობის ტყვეობიდან და თამაშიც უფრო მხუბუქად, გამიზნულად და, რაც მთავარია, თავისუფლად წარმართეს. სულ მალე ინიციატივას მყარად და საბოლოოდ დაეუფლნენ დინამოელები. ამ დროს არმიელთა გუნდის რამდენიმე ლიდერი მოედნიდან გაძევების კანდიდატი იყო.

კრიზისი 32-ე წუთზე დაიწყო, როცა დინამოელებმა ამ შეხვედრაში მეორედ წაიყვანეს ანგარიში — 59:57. და აი, მოედანი დატოვა ჯერ ბრიანცევმა, შემდეგ პინჩუკმა. კალათბურთელთა პანიკა ნელნელა გულშემატკივრებსაც გადაედო, მაგრამ უკვე ცხადზე ცხადი გახდა, რომ მდგომარეობას ველარაფერი გამოასწორებდა.

„დინამომ" დიდოსტატურ სტილში ჩაატარა ბოლო 8 წუთი და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწია — 83:72.

ამ წერილში შეგნებულად არ დავასახელე არც ერთი დინამოელის გვარი, რადგან ასეთი დაკონკრეტება ზედმეტად მივიჩნიე. წარმატების თანასწორუფლებიანი ავტორი გახლდათ გუნდის ყველა წევრი, რადგან დინამოელებმა ამ მატჩში არ დაზოგეს არც ენერგია, არც ძალა და არც უნარი.

ნ. ზარემბო.

სენსაცია ბაქოში

ბაქო, 12 მარტი. დიახ, ეს შედეგი კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ სენსაციად უნდა მივიჩნიოთ. ადგილობრივმა „ბურევესტნიკმა" უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში სძლია ტარტუს „კალევს" ანგარიშით 74:68 (44:40). თუ რას ნიშნავს ესტონელთა დამარცხება, თბილისელმა გულშემატკივრებმა კარგად იციან, რადგან „კალევმა" სწორედ ამ დღეებში ჩაატარა 4 მეტად დაძაბული და ძნელი მატჩი თბილისში.

აზერბაიჯანელთა ამ წარმატებამ, რა თქმა უნდა, ჯერ ვერ შესცვალა სატურნირო ცხრილის ქვედა პოლუსის გარეგნული სახე, მაგრამ მძაფრი განცდების მოყვარულნი უთუოდ სასიამოვნო მოლოდინის წინაშე დააყენა.

საქმე ისაა, რომ საკავშირო ჩემპიონატში მეთორმეტე ადგილი კატასტროფის ტოლფასია. ბოლო ადგილზე მყოფი გუნდი ულაპარაკოდ ემშვიდობება „ა" კლასის უმაღლეს ლიგას და სულ მცირე, ერთი წლით გადადის „მოკვდავთა" ლიგაში. „ბურევესტნიკი" ამ უსიამოვნო მისიის ყველაზე რეალური პრეტენდენტია.

მაგრამ არსებობს ბოლოსწინა ადგილიც, რომელიც ასევე ქვედა ლიგისაკენაა მიმართული, თუმცა უძლიერესთა შორის დარჩენის რაღაც შანსს მაინც იძლევა. ერთი სიტყვით, ბოლოსწინა ადგილზე გამოსული გუნდი (დღევანდელი დღის მიხედვით, სვერდლოვსკის „ურალმაში") და II ჯგუფში გამარჯვებული კოლექტივები რაინდულ ბრძოლაში გაარკვევენ თავიანთ პრეტენზიებს. ეჭვს გარეშეა, რომ პირდაპირ II ჯგუფში გადასვლას გადასასვლელ მატჩებში მონაწილეობა სჯობს.

ახლა კი თავად განსაჯეთ, რომელი ბრძოლაა უფრო პრინციპული და დაუნდობელი: ის, რომელიც ოქროს ბრჭყვიალითაა გამოწვეული, თუ ის, რომელსაც „ურალმაში" და „ბურევესტნიკი" უკიდურეს „სამხრეთ პოლუსზე" აწარმოებენ?

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	28	21	7	1998—1868	21
„დინამო" (თბილისი)	27	19	8	2008—1855	19
ასკ (კიევი)	29	19	10	2051—1907	19
ცსკა	30	18	12	1936—1863	18
„სტროიტელი" (კიევი)	28	16	12	1848—1819	16
ვეფ (რიგა)	28	14	14	1982—1978	14
„ჟალგირისი" (კაუნასი)	28	14	14	2019—1986	14
„კალევი" (ტარტუ)	29	14	15	1903—1870	14
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	26	12	14	1675—1647	12
ასკ (რიგა)	28	12	16	1999—2014	12
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	28	6	22	1895—2145	6
„ბურევესტნიკი" (ბაქო)	31	5	26	2252—2628	5

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის წუხანდელი მატჩების შედეგები.

0:0

მეხიკო, 11 მარტი. გუშინ კვლავ დიდძალი მაყურებელი დაესწრო „აცტეკის" სტადიონზე გამართულ მატჩს მექსიკისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა თავიდანვე საინტერესო გამოდგა, ორივე კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ფეხბურთელებს ჰქონდათ გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ თავდამსხმელები უზუსტოდ ურტყამდნენ მექსიკელთა კარში. ანგარიში არც ამჯერად გახსნილა — 0:0.

ჩვენი გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: **პშენიჩნიკოვი, აფონინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ისტომინი, ანიჩკინი, ჩისლენკო, ესკოვი, მედვიდი, სმოლნიკოვი, მალოფეევი.**

ადგილობრივი სპორტული პრესა საბჭოთა ფეხბურთელებიდან გამოჰყოფს შესტერნიოვსა და პშენიჩნიკოვს.

გუშინ...

ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში გაიმართა სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატის VII ტურის მატჩები. შეხვედრათა შედეგები ასეთია: „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) 1:2, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) — კასპიის ფლოტილია (ბაქო) 4:2, „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 1:1, „დინამო" (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი) 0:4, „დინამო" (ლვოვი) — მოსკოვის უნივერსიტეტი 4:5.

გამარჯვებით დაიწყეს

მონტევიდეო, 12 მარტი. ურუგვაის დედაქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდის სტუმრობამ. ჩვენებმა პირველი მატჩი ამ ქვეყნის ნაკრებთან გამართეს. ორივე ტაიმის განმავლობაში აშკარა იყო საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 96:59 (42:22). მსოფლიო ჩემპიონები მატჩებს გამართავენ ბრაზილიაშიც.

უმცროსმაც ცურვა ირჩია

ამას წინათ თბილისის „დინამოს" საცურაო აუზში დამთავრდა დედაქალაქის ბავშვთა ცურვის სპორტსკოლების საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრების II ეტაპი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე — „მხიარული დელფინი". 9-10 წლის ბავშვები 50 მეტრზე ასპარეზობდნენ, 11-12 და 13-14 წლისანი — 100 და 200 მეტრზე, 15-16 წლისანი კი — 200 და 400 მეტრზე.

ყველაზე უმცროს გოგონათა შორის ბრასით და ბატერფლაით ცურვაში თავი ისახელა თბილისის 27-ე სკოლის მესამეკლასელმა გალინა იოაკიმიდიმ („ნორჩი დინამოელი"). მან შესაბამისად 48,9 და 53,3 აჩვენა. გალინას წარმატება შემთხვევითი როდია. იგი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ლ. იოაკიმიდის უმცროსი ქალიშვილია და მოცურავეთა ოჯახში გოგონამაც ცურვა ირჩია.

13-14 წლის ბიჭებიდან აღსანიშნავია 37-ე საშუალო სკოლის მეექვსეკლასელი ანდრო იორდანიშვილი („შრომითი რეზერვები"), რომელმაც 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში I ადგილი დაიკავა — 5.16,5, 100 მეტრზე ამავე სტილით ცურვაში კი (1.09,5) — მესამე. ანდროს წარმატებაშიც ყველაზე მეტი წვლილი მამამისს, „შრომითი რეზერვების" მოცურავეთა უფროს მწვრთნელს თეიმურაზს მიუძღვის. აღსანიშნავია აგრეთვე, ნორჩ დინამოელ თ. ბაბუტაშვილის წარმატება. მან მოიგო 100 მეტრზე ბრასით და ამავე დისტანციაზე კომპლექსური ცურვა (1.32,3 და 1.25,9 შესაბამისად).

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი დინამოელები აღმოჩნდნენ, II ადგილზე გავიდა „განთიადი", III — განათლების განყოფილების კოლექტივი.

ა. ბურასაშვილი.

სურათებზე: ა. იორდანიშვილი (ზემოთ) და გ. იოაკიმიდი ასპარეზობისას.

ფოტო ავტორისა.

ფილმის გმირი — სპარტაკიადა

„სპარტაკიადა. საიუბილეო წელი" — ასე ჰქვია სურათს, რომელიც ახალგაზრდა რეჟისორმა გ. ლისაკოვიჩმა დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიაში გადაიღო. დამდგმელმა რეჟისორმა, მთავარმა ოპერატორებმა ი. ლეონგაროვმა და გ. სეროვმა ოსტატურად გამოიყენეს ფერი და ფართო ეკრანი დაძაბული სპორტული ბატალიების ულამაზესი დღესასწაულის სრულად გადმოსაცემად. ფილმში ჟღერს ცნობილი ლიტველი კომპოზიტორის ლ. გედრავიჩუსის მუსიკა.

მაშ ასე, 1967 წლის ივლისის დღეებში მთელი მოსკოვი გიგანტურ სტადიონად იქცა. საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხმა თავისი ახალგაზრდული ღიმილი მიიტანა ლუჟნიკის სარბიელზე. სპორტსმენთა პარადი. მათ სპორტის დამსახურებული ოსტატი იური ვლასოვი მოუძღვება. ალმის აღმართვა. ბოლო დალოცვა — „ბედნიერ სტარტს გისურვებთ, მეგობრებო!" სპარტაკიადა დაიწყო.

ფილმის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ მის მასშტაბებს: ფინალში სპორტის 34 სახეობაში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის 18 ათასი საუკეთესო სპორტსმენი მონაწილეობდა. გათამაშდა 2189 მედალი.

კინოკამერა ფხიზლად ადევნებს თვალს დაძაბულ, ზოგჯერ დრამატულ ბრძოლას. აი, ჩვენ სიგრძეზე ხტომის სექტორში ვართ. აქ თავი მოუყრიათ უძლიერეს სპორტსმენებს — ლ. ბარკოვსკის, ი. ტერ-ოვანესიანს, გ. კლიმოვს, ვ. სანეევს. რვამეტრიანი დიდოსტატური ზღვარი მათგან არც ერთს არ ემორჩილება, ხან წვიმისგან სველი ბილიკი უშლით ხელს, ხან ნერვები. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — შედეგები მსოფლიო სტანდარტების დონისა არაა და ეს ყველაზე მეტად აფიქრებს სპორტსმენებს. ტერ-ოვანესიანმა კვლავ გაიმარჯვა, მაგრამ გულში მაინც ხინჯად ჩარჩა გამარჯვების, თუ შეიძლება ითქვას, დაბალი ხარისხი... იქნებ სწორედ ეს (შენიშნავენ ფილმის ავტორები) დაეხმარა სპორტსმენს, რომ ორი თვის შემდეგ მეხიკოში დაემყარებინა ევროპის ახალი რეკორდი — 8 მეტრი, 35 სანტიმეტრი.

ფინალური კადრები. მარათონის ტრასაზე, რომელიც 42 კილომეტრი და 195 მეტრია, ყველაზე ამტანი, ყველაზე შეუპოვარი სპორტსმენები გამოვიდნენ. გამარჯვების გზა ძალზე რთულია. პირველობა მოიპოვა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა მ. გორულოვმა. მარათონი დამთავრდა, მაგრამ სპარტაკიადა? მას დასასრული არ უჩანს! — ამბობს დიქტორი, — სპარტაკიადა გრძელდება, იგი არც ერთი საათით არ შეიძლება შეწყდეს, ახლა იგი მხოლოდ სულს ითქვამს, რომ შემდეგ ესტაფეტა კვლავ წინ გადაისროლოს.

ფილმის ეპიზოდები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან იმ ატმოსფეროზე, რომელშიც 1967 წლის სპარტაკიადა ჩატარდა. გარეგნულად ეს იყო უსწრაფესი სტარტისა და მძლავრი ფინიშის ფეიერვერკი, შინაგანად კი უმძაფრესი ბრძოლა ყოველი წამისთვის, ყოველი სანტიმეტრისათვის, ხასიათისა და ტემპერამენტის ბრძოლა.

მ. ტატარინოვი.

საქჩესი მოგვითხრობს

კიდევაც დაიზრდებიან...

ამ სასწავლებელს მოჭადრაკეები შესანიშნავი ქართველი ოსტატის, ვიქტორ გოგლიძის „აკადემიას“ უწოდებენ და ეს შემთხვევითი როდია. 1957 წელს თბილისის განათლების განყოფილებასთან სწორედ ვიქტორ გოგლიძის თაოსნობით დაარსდა სსრ კავშირში პირველი ბავშვთა სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლა. ეს იყო დიდი და საშვილიშვილო საქმე.

მალე დედაქალაქის ყველა რაიონში გაიხსნა ჯგუფები, რომლებშიც უპირატესად 7-10 წლის გოგონები და ბიჭები მიიღეს. მწვრთნელებად გამოცდილი მოჭადრაკეები მიიწვიეს. ვ. გოგლიძემ და სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. კასპარიანმა სასწავლო პროგრამა დაამუშავეს და მუშაობაც გაჩაღდა.

სწრაფად გაირბინა წლებმა. აღსაზრდელებმა სკოლას სახელი პირველად 1964 წელს გაუთქვეს: მოსწავლეთა საკავშირო გუნდურ პირველობაში I ადგილი დაიკავეს. ეს შეჯიბრება ტალინში გაიმართა.

მალე გ. ციხელაშვილი, ვ. დავითაშვილი, ლ. კერნოჟიცკი, ს. ჩეჩელიანი, გ. ვარდოსანიძე, ს. ძუგაევი, ე. კარკმაზოვი, ა. ლიპარტელიანი, ჯ. მუკნიაშვილი ოსტატობის კანდიდატები გახდნენ, ე. უბილავა — სპორტის ოსტატი. ც. კახაბრიშვილი და ნ. ჩიქობავა საქართველოსა და თბილისის ჩემპიონები არიან ქალთა შორის, ც. კობაიძემ გოგონებში სსრ კავშირის ჩემპიონობა დაისაკუთრა. ამ გოგონებმა და ნ. ხუბულურმა დიდ სარბიელზე სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატში ითამაშეს და საერთო აღიარება მოიპოვეს.

— დღეს საქართველოში ტურნირი არ ტარდება, რომ ჩვენი აღზრდილები არ მონაწილეობდნენ, — გვითხრა სკოლის დირექტორმა პ. ხიზანიშვილმა. — ეს არცაა გასაკვირი, — 10 წლის მანძილზე 115 პირველი, 200 მეორე და 360 მესამე თანრიგის მოჭადრაკე მოვამზადეთ.

ამჟამად სკოლაში 420 მოსწავლეა. მათთან გამოცდილი მწვრთნელები ა. ბუსლაევი, გ. მაჭავარიანი, ო. ალხანიშვილი, მ. კაზარიანი, ა. ხიზანიშვილი, ა. წერეთელი, დ. ჯანოევი, თ. ლომაია და დ. როსტომაშვილი მუშაობენ.

ბოლო წლებში ჭადრაკის სასწავლებელში შაშის ჯგუფებიც გაიხსნა. ოსტატ ს. პახლაჯიანის აღზრდილები უკვე წარმატებით გამოდიან მოსწავლეთა შეჯიბრებებში.

თბილისელ ენთუზიასტთა საქმიანობამ ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია. ნორჩ მოჭადრაკეთა სკოლა ჩამოყალიბდა რიგის საჭადრაკო კლუბთანაც. ჩვენებს გამოცდილების შესასწავლად ეწვივნენ მოსკოველებიც.

და მაინც, თბილისის სკოლის მუშაობა უნაკლო როდია. მთავარი ისაა, რომ ბავშვებს მეცადინეობისთვის სათანადო პირობები არა აქვთ. როგორც ჩანს, „დინამოს“ საჭადრაკო კლუბი, სადაც სკოლაა მოთავსებული, მოუხერხებელია ამ საქმისთვის.

ამ სკოლის მუშაობას ხელი უნდა შევუწყოთ, რადგან სწორედ აქ იჭედება ქართული ჭადრაკის მომავალი.

თ. გიორგაძე.

თბილისის საცხენოსნო სპორტული ბაზა 12 წელია არსებობს. ამ ხნის მანძილზე მრავალი სპორტსმენი დაოსტატდა. მათ შორის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები სხვადასხვა დროს მ. ერისთავი, შ. აფციაური, ა. დგებუაძე, ზ. კალმახელიძე, ა. მანჯავიძე, ს. პეშჩეროვი, კ. გაშიბაიაზოვი, მ. ბოლქვაძე და სხვები. თბილისელი ცხენოსნები გულმოდგინედ ემზადებიან წლევანდელი შეჯიბრებებისთვისაც.

სურათზე: ა. მანჯავიძე ვარჯიშის დროს.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

ქალთა სპარტაკიადა

პირველი რესპუბლიკური...

ენთუზიაზმის შედეგად

ამ ორიოდე წლის წინ, როცა საქართველოს პირველობა ბადმინტონში სოხუმში ჩატარდა, თბილისელთა უპირატესობა უდავო იყო. მაგრამ ქალთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით ახლახან დამთავრებულმა შეჯიბრებამ, რომელიც სოხუმის „სპარტაკის“ დარბაზში ტარდებოდა, ცხადყო ძალთა თანაფარდობის მნიშვნელოვანი ცვლა. ამჯერად სასიამოვნო სიურპრიზი გახლდათ სოხუმელთა დაოსტატება განვლილი ორი წლის მანძილზე.

ქუთაისისა და რუსთავის გუნდებთან დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ (4:0 და 4:0) აფხაზეთის ნაკრებმა ლიდერობა მხოლოდ თბილისელებთან შეხვედრაში დათმო და ენერგიულად შეუტია აჭარის კოლექტივს, რომელმაც მანამდე დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა თბილისის გუნდი.

ფაქტიურად, სწორედ აფხაზეთისა და აჭარის სპორტსმენთა მატჩი წარმოადგენდა შეჯიბრების ძარღვს და გვინდა უფრო დეტალურად შევჩერდეთ მასზე.

მთელი ასპარეზობის მანძილზე მხოლოდ ამ გუნდების შეხვედრის დროს დასჭირდათ მსაჯებს წყვილთა დამატებითი თამაშის ჩატარება გამარჯვებულის გამოსავლენად, რადგან ერთეულთა შეხვედრები ფრედ დამთავრდა — 2:2.

უდავოდ კარგი მონაცემების მქონე ნ. ზდანკევიჩმა გამოუცდელობის გამო პირველი შეხვედრა წააგო პირველთანრიგოსან ე. ბოიაჯიანთან, მაგრამ ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ ლ. კრუშევსკაიამ წონასწორობა აღადგინა და საერთო ჩათვლის ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

შემდეგ ბათუმელებმა ერთხელ კიდევ მოახერხეს დაწინაურება, მაგრამ ეს მათი უკანასკნელი წარმატება იყო. სოხუმელებმა მეოთხე შეხვედრა მოიგეს და გამარჯვების ბედის გადასაწყვეტად წყვილთა დამატებითი, მეხუთე შეხვედრა დაინიშნა.

ბათუმელთა წყვილში გამოდიოდა ტურნირის ყველაზე აგრესიული და ტექნიკური მოთამაშე ე. ბოიაჯიანი, რომელსაც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა გ. ჯიბლაძე, მაგრამ სოხუმელები ზდანკევიჩი და კრუშევსკაია (იგი ცაციაა) შესანიშნავად იყვნენ შეთამაშებული და აჭარის წარმომადგენლებს დამაჯერებლად მოუგეს — 15:4, 15:1.

აფხაზეთის გუნდის ამ ღირსეულმა გამარჯვებამ საბუღალტრო ამოცანის წინაშე დააყენა მსაჯთა კოლეგია. საქმე ისაა, რომ თბილისის, სოხუმისა და ბათუმის გუნდებს სამ-სამი მოგება და თითო წაგება ჰქონდათ. ყველაფერი ცალკეულ პარტიებში დაგროვილი ბურთების შეფარდებას უნდა გადაეწყვიტა, რის შედეგად აჭარის გუნდმა (ბოიაჯიანი, ჯიბლაძე, ტიმოფეევა, კვაჭაძე) გაიმარჯვა. მომდევნო ადგილები გაინაწილეს თბილისისა და სოხუმის წარმომადგენლებმა. IV ადგილზეა ქუთაისის გუნდი, რომელმაც ერთადერთი შეხვედრა მოიგო რუსთაველებთან. უნდა ვუსაყვედუროთ სამხრეთ ოსეთისა და გორის სპორტულ ორგანიზაციებს, რომლებმაც გუნდების გამოგზავნა ვერ უზრუნველყვეს.

როცა სოხუმის გუნდზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ მოვიხსენიოთ მათი გამარჯვების ორგანიზატორი, აფხაზეთის ბადმინტონისტთა საზოგადოებრივი მწვრთნელი დავით მესხი. წარსულში ცნობილმა სპორტსმენმა და ფიზკულტურულმა მუშაკმა მოკლე დროის მანძილზე შეძლო გუნდის საუცხოოდ მომზადება.

დასასრულ აქვე შევნიშნავთ, რომ აფხაზეთის გუნდს ერთი სერიოზული გამოცდა ივნისში ექნება, მოზარდთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში, თუ მათი ენთუზიაზმი არ განელდა, კვლავ სასიამოვნო სიურპრიზებს უნდა ველოდოთ.

გ. სამსონაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.



თბილისელთა უპირატესობით

სამტრედიის „ლოკომოტივის“ სპორტდარბაზში ახლახან ჩატარდა ფრენბურთელთა რესპუბლიკური ზამთრის პირველობა. გათამაშების პირველი დღიდანვე ცხადი გახდა თბილისის ქალთა და ვაჟთა გუნდების უპირატესობა. მათ მთელი შეჯიბრება წაუგებლად ჩაატარეს და დამსახურებულად დაიკავეს I ადგილები. ქალებში II ადგილზე გავიდნენ გორის, ხოლო III — ქუთაისის ფრენბურთელები. ვაჟებში II ადგილი წილად ხვდათ ბათუმელებს, ხოლო III — ქუთაისელებს.

ჯ. ვაშაკიძე.

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ფოტო ნ. მანჯგალაძისა.

გუნდს ხუბულურმა უშველა

— თბილისის გუნდს პირველობა ნინო ხუბულურმა მოაპოვებინა, — გვითხრა მოჭადრაკე ქალთა ტურნირის მთავარმა არბიტრმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ლ. წეროძემ. — თბილისელებმა ფინალური შეხვედრა აჭარის ნაკრებთან ყაიმით დაამთავრეს, მაგრამ რაკი ნინოს ყველა პარტია მოგებული ჰქონდა, უპირატესობაც მის გუნდს მიენიჭა.

ასე დამთავრდა სოხუმში მოჭადრაკე ქალთა სპარტაკიადა, რომელშიც 20 გუნდი მონაწილეობდა. თვითეულ გუნდში 2 ქალი და ერთი (1952-54 წლებში დაბადებული) გოგონა შედიოდა. თბილისის, რუსთავის, ფოთისა და ჭიათურის მოჭადრაკე გოგონები შეჯიბრებაში არ დაუშვეს, რადგან ასაკით უფროსები იყვნენ. ამ დანაკლისს ყველაზე მეტად თბილისის გუნდი გრძნობდა.

შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. გაგაცნობთ მის შედეგებს: I. თბილისი (ც. კახაბრიშვილი, ნ. ხუბულური), II. აჭარა (დ. შავთვალიშვილი, ნ. გიორგაძე, ნ. ფურმანი), III. ქუთაისი (დ. გამყრელიძე, დ. ჩაკვეტაძე, ე. ლომიძე), IV. აბაშა, V. აფხაზეთი, VI. გორი, VII. ტყიბული, VIII. ზუგდიდი, IX. ჩოხატაური, X. მცხეთა, XI. რუსთავი, XII. ხაშური, XIII. ცხაკაია, XIV. ზუგდიდის რაიონი, XV. ზესტაფონი, XVI. მახარაძე, XVII. სამტრედია, XVIII. ფოთი, XIX. სამხრეთ ოსეთი, XX. ჭიათურა.

ქალთა მასობრივმა შეჯიბრებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ნიჭიერი გოგონები დ. გამყრელიძე, ე. ლომიძე, ნ. გიორგაძე, ნ. ფურმანი (ორივე — ბათუმი) და ა. შენგელია (სამტრედია) მოსწავლეთა ნაკრები გუნდის ღირსეული კანდიდატები არიან. ა. შენგელიამ აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა — 5 ქულა 5-დან.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა აჭარის ჩემპიონმა დ. შავთვალიშვილმა, რომელმაც საქართველოს ჩემპიონს ც. კახაბრიშვილსაც გაუსწორო. მაგრამ ყველაზე დიდ მოწონებას მაინც ხუბულური იმსახურებს — 4 ქულა 4-დან.

საერთო მოწონებით სარგებლობდა აბაშის გუნდი, რომელშიც თამაშობდნენ დები დანელიები — ლუიზა, ვალენტინა და ეკატერინე, დების მწვრთნელია მამა — ნიკოლოზ დანელია. IV ადგილი, რომელიც აბაშელებმა დაიკავეს, მათი შესაძლებლობის ნათელი გამოხატულებაა.

სხვათა შორის, მცხეთის გუნდშიც თამაშობდნენ დები — ეთერი და ნაილი ხუბუები.

თ. ნინოშვილი.

ჭადრაკის ქრონიკა

✦ თბილისი

ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების მასწავლებელთა საჭადრაკო პირველობაში 16 კაცმა მიიღო მონაწილეობა. I ადგილი დაიკავა ა. დამენიამ (ოჩამჩირის მე-8 სკოლა), II — გ. მელქაძემ (სადგურ ხარაგაულის მე-10 სკოლა), III — გ. ჩიტაიშვილმა (ხაშურის მე-3 სკოლა).

ა. განუგრავა.

✦ ჩოხატაური

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს მოჭადრაკეთა ტურნირში ცხრა ვაჟმა და ერთმა ქალმა მიიღო მონაწილეობა. I ადგილი დაიკავა ჩოხატაურის კოლმეურნეობის წარმომადგენელმა ო. ოსეფაიშვილმა, II — შუა განახლების საშუალო სკოლის მასწავლებელმა ვ. დოლიძემ, III — გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელმა ი. ბურჭულაძემ.

დ. გურგენიძე.

მეათე...

ბაკურიანში 3 დღეს გაგრძელდა თბილისის საპროექტო დაწესებულებების X საიუბილეო სპარტაკიადა სათხილამურო სპორტში. გამარჯვებისთვის 13 კოლექტივის 80-მდე სპორტსმენი იბრძოდა. ჩემპიონობა და გარდამავალი თასი „საქქალაქმშენსახპროექტის“ მოთხილამურეებმა დაისაკუთრეს. II და III ადგილები გაიყვეს „თბილქალაქპროექტისა“ და პოლიმერების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს სპორტსმენებმა. შარშანდელი ჩემპიონი — „საქსოფლმშენსახპროექტი“ ამჯერად V ადგილს დასჯერდა.

პირად პირველობაში გაიმარჯვეს: ქალთა სპეციალურ სლალომსა და 3 კილომეტრზე რბენაში — მ. დიასამიძემ (თბილისის პროექტების ზონალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი), გიგანტურ სლალომში — ლ. ჩიკვაიძემ (პოლიმერების ინსტიტუტი), სწრაფდაშვებაში — ლ. ყანჩელმა (ზონალური სამეცნიერო-საკვლევი პროექტების ინსტიტუტი). ვაჟებში სპეციალური და გიგანტური სლალომი მოიგო ქ. ჭუბაბრიამ („თბილქალაქპროექტი“), სწრაფდაშვება — თ. ანთაძემ („საქსოფლმშენსახპროექტი“), 5 კილომეტრზე რბენა — ს. ნავერიანმა.

აბსოლუტური ჩემპიონები გახდნენ მ. დიასამიძე და ვ. ძაგანია („საქქალაქმშენსახპროექტი“).

ჯ. ხარიშვილი.

საქართველოს პირველობა

შედგა II ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში. უნდა აღინიშნოს, რომ მარტის ამინდი ნაკლებად უწყობს ხელს ფეხბურთელებს აჩვენონ ნაწვიმარ, ატალახებულ მინდორზე თამაშის შესაფერისი კლასი და მიუხედავად ამისა, მატჩები ძირითადად დამაკმაყოფილებელ დონეზე მიმდინარეობს.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სულორი“ (ვანი) 2:0. მსაჯი ა. ცაგარეიშვილი (თბილისი).

ზესტაფონელმა ფეხბურთელებმა პირველივე წუთებიდან დაიპყრეს ინიციატივა. ისინი ჯობდნენ დებიუტანტს, მაგრამ ამ უკანასკნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირველ ტაიმში ბურთი არ მიუღია. შესვენების შემდეგ მესხიშვილმა ანგარიში გახსნა, ხოლო კაპანაძემ განამტკიცა თავისი გუნდის გამარჯვება — 2:0. აღსანიშნავია, რომ სტუმრებსაც ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა. კარგი თამაში აჩვენა „მეტალურგის“ მეკარე ზაქაიძემ.

● „სამცხე“ (აწყური) — „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) 4:1. მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).

მიმდინარეობდა მატჩის მე-4 წუთი, როცა გრძელიძემ გაიტანა ბურთი „ნარინჯის“ კარში. ამას მოჰყვა შილაკაძის საპასუხო ბურთი და შესვენებისთვის მოწინააღმდეგეები „მშვიდობიანად“ გაშორდნენ ერთმანეთს. მეორე ტაიმში „სამცხემ“ გააძლიერა შეტევები, ჯერ გრძელიძემ, შემდეგ სუხიშვილმა და სალაძემ ზედიზედ გაიტანეს 3 გოლი ბათუმელთა კარში, რომელთა დაცვა ამ პერიოდში აშკარად სუსტად თამაშობდა.

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:1. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

ტაიმს, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, შედეგი არ მოუცია — 0:0. შემდეგ სტუმართა კარში დანიშნულ იქნა 11-მეტრიანი, რომელიც ზუსტად გამოიყენა მამალაძემ — 1:0. 71-ე წუთზე „ფეიქრის“ მცველმა და მეკარემ ვერ გაუგეს ერთმანეთს, რის შედეგად ჰიაბერაშვილმა გაქვითა გოლი — 1:1. მატჩის ბედი გადაწყვიტა წულუკიძელთა მცველის ჩარგეიშვილის მიერ გატანილმა ბურთმა — 2:1.

● ასკ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ბორჯომი) 1:1. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

ანგარიში გახსნა არმიელმა ცირეკიძემ. ბორჯომელები დიდხანს იბრძოდნენ საპასუხო გოლის გასატანად, რაც ბოლოს შეძლო ჩადუნელმა — 1:1.

● „აერო“ (გალი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:1. მსაჯი ვ. ლეტუნოვი (მოსკოვი).

● „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „კოლხეთი“ (ცხაკაია) 0:1. მსაჯი მ. ხუტაბა (სოხუმი).

სტუმრებს ჯერ კიდევ შესვენებამდე შეეძლოთ წარმატების მოპოვება, მაგრამ თავდამსხმელები არაზუსტად ურტყამდნენ კარში. „კოლხეთმა“ ერთადერთი გოლი გაიტანა მხოლოდ მეორე ტაიმში.

● „ისანი“ (თბილისი) — „სინათლე“ (თბილისი) 1:2. მსაჯი ი. ბოჭორაძე (თბილისი).

თამაში კარგა ხანს თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. შემდეგ „სინათლემ“ მიაღწია ტერიტორიულ უპირატესობას და იმნაძემ გახსნა ანგარიში. მატჩის დამთავრებას სულ რამდენიმე წუთი აკლდა, როცა მეტოქეები იყოფდნენ ქულებს — 1:1 (საპასუხო ბურთი გაიტანა მანუჩაროვმა). ამ მცირე დროში ვარდოსანიძის დარტყმამ გამარჯვება მოუტანა „სინათლეს“ — 2:1.

● „მშენებელი“ (სიღნაღი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

თამაში საინტერესო ბრძოლით აღინიშნა. მასპინძლებმა რამდენიმე კარგი კომბინაცია გაითამაშეს, რომელთაგან ერთ-ერთი დამთავრდა ნადირაშვილის მიერ გატანილი ბურთით. „მშენებლის“ გამარჯვება განამტკიცა ზურაშვილმა.

● „ლაითური“ (მახარაძე) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 1:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

მახარაძელებმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს დასაწყისშივე. ასევე მოხდა შესვენების შემდეგაც, მაგრამ, აი, სტუმრები გადავიდნენ კონტრიერიშზე და პირველი გოლი სწორედ „ლაითურის“ კარში აღმოჩნდა (იგი გაიტანა კვარაცხელიამ). „ლაითური“ განაგრძობდა იერიშებს, რაც საბოლოოდ დამთავრდა ჩუმაკოვის საპასუხო გოლით — 1:1.

„ნადიკვარი“ — „ბ“ კლასში

თელავის „ნადიკვარის“ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც ადრე საქართველოს პირველობაზე გამოდიოდა, წლევანდელი სეზონიდან მონაწილეობას მიიღებს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა შორის რსფსრ-ს „ბ“ კლასის გუნდების ტურნირში.

თელავის „ნადიკვარის“ მწვრთნელია ვეტერანი ფეხბურთელი გ. ჭუმბურიძე.



III ტურის კალენდარი
17 მარტი

„სულორი“ (ვანი) — „სამცხე“ (აწყური), „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე), „გარეჯი“ (საგარეჯო) — ასკ (თბილისი), „სპარტაკი“ (ბორჯომი) — „ქართლი“ (გორის რაიონი), „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „აერო“ (გალი), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „არაგვი“ (მცხეთა), „მესხეთი“ (ახალციხე) — „ბახმარო“ (ჩოხატაური), „კოლხეთი“ (ცხაკაია) — „ისანი“ (თბილისი), „სინათლე“ (თბილისი) — „მშენებელი“ (სიღნაღი), „დურუჯი“ (ყვარელი) — „ლაითური“ (მახარაძე), „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი).

ბორის სტენინი: „უძლიერესის სახელი უნდა დავიბრუნოთ“

სსრ კავშირის მოციგურავეებმა ოლიმპიური სეზონი დაამთავრეს ნორვეგიის გუნდთან ტრადიციული მატჩით, რომელიც სვერდლოვსკში გაიმართა. აას-ის კორესპონდენტი ლ. ბუტორინა სვერდლოვსკში შეხვდა სსრ კავშირის მოციგურავეთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს ბ. სტენინს და სთხოვა მას პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე:

● როგორ აფასებთ საბჭოთა მოციგურავეების შედეგებს განვლილ სეზონში?

— ეს შედეგები ვერაფერი სახარბიელოა. გრენობლის ოლიმპიურ თამაშებში და გეტებორგის მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა გუნდი წარუმატებლად გამოვიდა. ვაჟებმა ვერც ერთი ოქროს მედალი ვერ მოიგეს. ჩვენები აშკარად ჩამოუვარდებოდნენ სკანდინაველებსა და ჰოლანდიელებს. ქალებიდან მაღალი ოსტატობა გამოავლინა მხოლოდ ლიუდმილა ტიტოვამ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა 500 მეტრზე რბენაში, რომელმაც ტოლი არ დაუდო მსოფლიოს საუკეთესო მოციგურავეებს.

● რა არის წარუმატებლობის მიზეზი?

— ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. საბჭოთა გუნდში თაობათა ცვლა ხდება. სსრ კავშირის ნაკრების ლიდერები ედუარდ მატუსევიჩი, ანტს ანტსონი, ევგენი გრიშინი, სტანისლავ სელიანინი უკვე ან 30 წლისა არიან, ან გადააბიჯეს ამ ასაკს. მათ უკვე თქვეს თავისი სიტყვა საციგურაო სპორტში და ახლა საეჭვოა, რომ საკუთარი შედეგების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება შეძლონ. ისინი, უახლოეს მომავალში ვეტერანები რომ უნდა შეცვალონ, სახელდობრ, ალექსანდრე კერჩენკო, იური მალიხინი, ვალერი მურატოვი, ვალერი ლავრუშკინი, ჯერ ძალიან ახალგაზრდები არიან და დიდ გამარჯვებებზე ვერ იფიქრებენ. ამ სპორტსმენების ასაკი 20-22 წელია და ისინი მხოლოდ ახლა იკაფავენ გზას საერთაშორისო სარბიელზე. ერთი სიტყვით, გუნდის ვეტერანებისა და ახალბედების ასაკი ძალიან განსხვავებულია. როგორც ცნობილია, მოციგურავეები საუკეთესო შედეგებს ჩვეულებრივ 25-26 წლის ასაკში აღწევენ. ჩვენ ნაკრებში არ გვყავდა 25-26 წლის ისეთი მოციგურავე, რომლის იმედიც შეიძლება გვქონოდა. გამონაკლისია მხოლოდ ვალერი კაპლანი, მაგრამ მწვრთნელთა იმედი ვერც მან გაამართლა. მართალია, იგი კიდევ ცდილობს უმაღლეს დონეზე ბრძოლას (კაპლანს საამისოდ ყველა მონაცემი აქვს), მაგრამ განვლილ სეზონში ამ მოციგურავეს თავისი შესაძლებლობა არ უჩვენებია.

ქალებიდან საციგურაო სპორტში წლების მანძილზე გვიხვეჭდნენ სახელს ინგა ვორონინა, ლიდია სკობლიკოვა და ვალენტინა სტენინა. მათი უპირატესობა უდავო იყო. ამ ამბავმა, როგორც ჩანს, იმდენად დაახვია თავბრუ მწვრთნელებს, რომ სათანადო ცვლაზე ფიქრი დაავიწყა. ახლა ქალთა გუნდში უფრო ცუდად გვაქვს საქმე, ვიდრე ვაჟთა ნაკრებში. ჩვენ გვყავს ნიჭიერი მოციგურავე ვაჟები, რომლებიც ერთი-ორი წლის შემდეგ გამარჯვებას მოიპოვებენ, მაგრამ ქალთა გუნდიდან ტიტოვას გარდა ჯერჯერობით ვერც ერთ ნიჭიერ ახალგაზრდა სპორტსმენს ვერ დავასახელებ. და ეს სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელთა დანაშაულია, ჩემი დანაშაულიც არის.

ჩვენი წარუმატებლობის კიდევ ერთ მიზეზად ხელოვნური ყინულის ნაკლებობა მიმაჩნია. ადრე, როცა სსრ კავშირის მოციგურავეები წარმატებით გამოდიოდნენ საერთაშორისო სარბიელზე, არ ვუფიქრდებოდით ბაზების პრობლემას, მით უმეტეს, რომ ყინული გვყოფნიდა. მაგრამ აი, გაჩნდა ხელოვნური ბილიკები და მდგომარეობა შეიცვალა. ახლა მსოფლიოში უკვე 25 ხელოვნური საციგურაოა. მათი უმეტესობა განლაგებულია ისეთ ადგილებში, სადაც ჰავაც ხელსაყრელია, ზომიერი. უცხოელ მოციგურავეებს აქვთ საშუალება, რომ მათთვის ხელსაყრელ დროს ივარჯიშონ, ივარჯიშონ ბევრი და ხარისხიანად.

შეიცვალა წვრთნის პირობები და მყისვე შედეგებიც შეიცვალა. ადრე დიდ შეჯიბრებებში გამარჯვებისთვის მრავალჭიდელს 190-მდე ქულა უნდა ჰქონოდა, ახლა ამ ქულებით ამხანაგურ შეჯიბრებებში გამოსვლაც კი სირცხვილია. საუკეთესო მრავალჭიდელები ახლა 175-მდე ქულას აგროვებენ, 500 მეტრს 41 წამში ფარავენ, 1.500 მეტრს — 2 წუთსა და 5 წამში, 5.000 მეტრს — 7 წუთსა და 30 წამში, 10.000 მეტრს—15 წუთსა და 30 წამში.

ამ შედეგებს რომ მიაღწიო, უმაღლესი კლასის ყინულის ბილიკებზე უნდა ვარჯიშობდე. ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის ნაკრებ გუნდს ორი ბაზა მაინც უნდა ჰქონდეს: ერთი ბალტიისპირეთის რაიონში, მეორე კიევის — იმიერკარპატის რაიონში. ჰავით ეს რაიონები უფრო ჰგავს იმ ადგილებს, სადაც ჩვეულებრივ მოციგურავეთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრებები ტარდება.

ასეთი ბაზები ხელოვნური საციგურაოებით სსრ კავშირის ნაკრებს ჯერჯერობით არა აქვს. გასულ წლებში ამინდის ჭირვეულობამ ბევრჯერ შეუშალა ხელი ჩვენს გეგმებს. ძლიერი ყინვების (დეკემბერ-იანვარში თითქმის 30-35 გრადუსი) ან მოულოდნელი თბილი ამინდების გამო ჩვენ ბევრჯერ გადაგვიდვია ძალიან მნიშვნელოვანი შეჯიბრება.

ახლა სსრ კავშირში რამდენიმე ხელოვნური ბაზა შენდება, მაგრამ მათი მშენებლობის გეოგრაფია მაინცდამაინც აზრიანად ვერ არის განსაზღვრული. ვთქვათ, აიგო ხელოვნური საციგურაო სვერდლოვსკში. ძალიან სასიამოვნოა, რომ ეს საციგურაო კარგი გამოვიდა, ბილიკიც კარგია, ახალი ბაზა დიდ დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სვერდლოვსკელ სპორტსმენებს, არამედ ქვეყნის სხვა ქალაქების მოციგურავეებსაც. და მაინც, უფრო ჭკვიანური იქნებოდა, რომ პირველი ხელოვნური საციგურაო სვერდლოვსკში, შუა ურალში კი არ აეგოთ, სადაც ნოემბრიდან მარტამდე დიდი ყინვებია და მშვენიერი ბუნებრივი ყინული, არამედ იქ, სადაც ზამთარი უფრო რბილია, სადაც ასეთი ყინვა არ იცის. დარწმუნებული ვარ, უახლოეს ხანში კარგი ხელოვნური საციგურაოები საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში აიგება. მაგრამ ჩვენთვის მთავარია, რომ ისინი, რაც შეიძლება მალე და სწორედ იმ ადგილებში აშენდეს, სადაც ვარჯიშს ბუნების ჭირვეულობა ვერ შეუშლის ხელს. უამისოდ არ მოხერხდება დანაკარგის ანაზღაურება.



● როგორია საბჭოთა მოციგურავეების წვრთნის მეთოდიკა, შეიტანეთ თუ არა მასში რაიმე სიახლე, ვარჯიშის დროს რას აქცევთ უმთავრეს ყურადღებას?

— ჩვენ წვრთნის სავსებით თანამედროვე მეთოდიკა გვაქვს, თუმცა, რა თქმა უნდა, სპორტსმენებთან მუშაობის დროს შეიძლება მეთოდური შეცდომებიც მოგვივიდეს. მაგრამ მე არ ვაპირებ, რომ ჩვენი წარუმატებლობა წვრთნის მეთოდიკაში არსებული რაღაც ნაკლით ავხსნა. მას არავითარი ძირეული შეცვლა არ სჭირდება. მართალია, ჩვენ ხშირად არა გვაქვს შეჯიბრებები. ჩვენი უცხოელი მეტოქეები უფრო ხშირად გამოდიან სარბიელზე და ამას წვრთნის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევენ. მომავალში ჩვენც ვეცდებით დამატებითი შეჯიბრებების ჩატარებას მოწინავე მოციგურავეებისთვის, რათა მათ თავიანთი მომზადებისა და შესაძლებლობის უფრო ხშირად შემოწმების საშუალება მივცეთ. მაგრამ აქ, მე ვფიქრობ, ზოგიერთი სიძნელის გადალახვა მოგვიხდება.

● მაინც?

— ეს სიძნელეები ორგანიზაციული ხასიათისა იქნება. ჩვენი საციგურაო ცენტრები, მაგალითად, სვერდლოვსკი, მოსკოვი, ალმა-ათა, კრასნოიარსკი, გორკი, ჩელიაბინსკი, ერთმანეთისგან მრავალი კილომეტრითაა დაშორებული. ამიტომ ყველა დიდი შეჯიბრების ჩატარება გამოიწვევს სპორტსმენთა ხანგრძლივ მოგზაურობას, პირობების შეცვლას. ზოგჯერ აკლიმატიზაციაც აუცილებელი იქნება. ეს ართულებს ერთი შეხედვით უბრალო პრობლემას.

უნდა შევცვალოთ საწვრთნელი დატვირთვის განაწილებაც სეზონის მანძილზე. როგორც ბოლო წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, ჩვენ მეტისმეტად გულმოდგინედ ვმუშაობთ ზაფხულის დამდეგს, ამიტომ მოციგურავეები უფრო ადრე აღწევენ საუკეთესო ფორმას, ვიდრე საჭიროა. დატვირთვის ასეთი განაწილების წყალობით სეზონის დასაწყისში წარმატებით გამოვდივართ, მაგრამ მთავარი სტარტების წინ, მაგალითად, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის, საბჭოთა მოციგურავეები უკვე ნაკლებ მომზადებულნი არიან და მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებს სათანადო მეტოქეობას ვეღარ უწევენ.

უცხოელი მოციგურავეები ზაფხულის პერიოდში არც ჩვენდენს ვარჯიშობენ და არც ჩვენისთანა დაძაბულობით. მაგრამ ყინულზე გამოსვლის მომენტისთვის ისინი არ ჩამოუვარდებიან საბჭოთა სპორტსმენებს. გადამწყვეტი სტარტების წინ მათი უმეტესობა საუცხოო ფორმაშია და უმაღლეს შედეგებსაც აღწევს. ჩვენ ეს შეცდომა გავითვალისწინეთ და ახალ სეზონში დატვირთვას სათანადოდ გავანაწილებთ.

● რა აზრისა ხართ სსრ კავშირის მოციგურავეთა უახლოეს პერსპექტივებზე?

— როგორც მოგახსენეთ, ბოლო ორსამ წელიწადში სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოჩნდნენ ახალბედები, ძალიან ნიჭიერი მოციგურავეები. ეს ნიშნავს, რომ მწვრთნელებმა გააუმჯობესეს ახალგაზრდებთან მუშაობა. ჩვენ ახლაც ხშირად ვასწავლით ნაკრების ახალბედებს ზოგიერთ ისეთ რამეს, რაც მათ უკვე უნდა იცოდნენ. დრო იკარგება, მაგრამ პროგრესი აშკარაა. ამ სეზონში ვაჟებმა გააუმჯობესეს სსრ კავშირის ყველა რეკორდი. გამონაკლისია მხოლოდ მცირე სპრინტი. სამჯერ გაუმჯობესდა ქვეყნის რეკორდი ყველაზე გრძელ დისტანციაზე — 10.000 მეტრზე. ახალი მიღწევები დაამყარეს ჯერ მატუსევიჩმა და ლავრუშკინმა (ევროპის ჩემპიონატზე), შემდეგ კი სელიანინმა (სსრ კავშირისა და ნორვეგიის მატჩი). ახლა სსრ კავშირის რეკორდი 10.000 მეტრზე საკმაოდ მაღალია — 15.35,6. მართალია, სკანდინაველები და ჰოლანდიელები უფრო ნაკლებ დროში ფარავენ ამ მანძილს, მაგრამ სხვაობა მცირდება და ეს იმედს გვაძლევს. ჩვენ თანდათან ვძლევთ ძველ სატკივარს: უიმედო ჩამორჩენას სტაიერულ დისტანციებზე რბენაში. სპრინტში ჩვენ მუდამ კარგად გვქონდა საქმე.

ვფიქრობ, სსრ კავშირის ნაკრებში უკვე დღეს არის რამდენიმე საიმედო მოციგურავე. რამდენად რეალურია ჩემი იმედი, ამას მომავალი ორი-სამი წელი გვიჩვენებს. უძლიერეს მოციგურავეთა დიდება უნდა დავიბრუნოთ. და ჩვენ ვეცდებით ამას.

* * *

სურათებზე: ზევით — ლ. სკობლიკოვა, ქვევით — ვ. ლავრუშკინი.

ფოტო ე. ვოლკოვისა.

რასისტები — არა!

მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა პროტესტს გამოთქვამს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილების გამო, რომლის ძალითაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას მეხიკოს ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება მიეცა. მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში იმართება საპროტესტო გამოსვლები, რომელთა მონაწილეები გადაჭრით მოითხოვენ, არ დაუშვან რასისტები ოლიმპიურ თამაშებში.

ლონდონი, 12 მარტი. გაზეთ „დეილი მირორის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ცნობილი ინგლისელი სპორტული მიმომხილველის პ. უილსონის წერილი, სადაც ავტორი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას ოლიმპიური წესდების დარღვევას, „ოლიმპიური მოძრაობის იდეათა შეურაცხყოფას“ უწოდებს. უილსონი მიესალმება საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტის მტკიცე პოზიციას.

ჰავანა, 12 მარტი. აქ გამოცხადდა, რომ კუბა მონაწილეობას არ მიიღებს მეხიკოს ოლიმპიადაში, თუ თამაშებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ჩაებმება. გამოვიდა რა პრესკონფერენციაზე, კუბის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ მ. გონსალეს ერამ განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ეს რესპუბლიკა ტოკიოს ოლიმპიადაზე არ დაუშვეს, მაშ, რატომღა უნდა მიიღოს მონაწილეობა მეხიკოს თამაშებში?

ქაბული, 12 მარტი. ავღანეთის ოლიმპიური კომიტეტი მტკიცე პროტესტს გამოთქვამს და გამოდის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, — განაცხადა ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა მუჰამედ ფარუკ სერაჯმა.

ლოზანა, 12 მარტი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის ცხრა წევრიდან, ხუთმა — კ. ანდრიანოვმა (სსრ კავშირი), გ. ჯემაელმა (ლიბანი), ჯ. დე სტეფანიმ (იტალია), გრაფმა ჟან დე ბომონმა (საფრანგეთი) და გენერალმა ჰოსე კლარკმა (მექსიკა) — ოფიციალურად მოითხოვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რიგგარეშე სესიის მოწვევა, რომელიც განიხილავს ოლიმპიურ თამაშებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დაშვების საკითხს.

ეს მოთხოვნა გადაეგზავნება საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტს ე. ბრენდეჯს.

სპორტი სჭირდება... მევიოლინესაც

„ტანმოვარჯიშის პირველი ვიოლინო“ — ასეთი სათაური გაუკეთა ჟურნალმა „შტერნმა“ (გფრ) წერილს ამერიკელ მევიოლინე იეგუდი მენუხინზე. ჟურნალის ფოტორეპორტიორმა მოახერხა და რამდენიმე სურათი გადაიღო იმ დროს, როცა მუსიკოსი დილის ტანვარჯიშს ასრულებდა.

„მე მინდა კავკასიელებივით 130 წელიწადს ვიცოცხლო, — თქვა იეგუდი მენუხინმა. — სწორედ სპორტი უნდა იყოს ყველა ინტელექტუალური ადამიანის ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი. მე რომ რეგულარულად არ მევარჯიშა სპორტში, კონცერტების კოლოსალურ დაძაბულობას ვერ გავუძლებდი. ადრე სხვადასხვა სახეობით ვიყავი გატაცებული, ახლა ჩემი პირველი ვიოლინო ყოველდღიური დილის ვარჯიშია“.



პროტესტი პარლამენტში

იშვიათი შემთხვევა მოხდა ამას წინათ იტალიაში. დეპუტატთა პალატაში კომუნისტური პარტიის ოთხმა დეპუტატმა — ვ. პალაცესკიმ, ჯ. მორელიმ, ე. ალბონიმ და ფ. ბიაჯინიმ შეკითხვით მიმართა ტურიზმის მინისტრს (რომელსაც სპორტიც ექვემდებარება) ფეხბურთელ ჟაირის 4 თამაშით დისკვალიფიკაციის თაობაზე.

რამ გამოიწვია ასეთი უეცარი გამოძახილი, როცა იტალიის ჩემპიონატში ყოველ ტურში რამდენიმე მოთამაშეს აძლევენ დისკვალიფიკაციას უხეშობისთვის. საქმე იმაშია, რომ „რომას“ მოთამაშე ჟაირსა და მის მოწინააღმდეგე მცველ დორდონის („სამპდორია“) შორის მოხდა ჩხუბი იტალიური სტადიონებისთვის უჩვეულო მიზეზით: დორდონიმ ბრაზილიელ ფეხბურთელს „ბინძური ზანგი“ უწოდა, რამაც ჟაირის მხრივ შესაბამისი რეაქცია ჰპოვა. ამ მატჩის მსვლელობაში დორდონი განუწყვეტლივ მიმართავდა აკრძალულ ხერხებს „რომას“ თავდამსხმელის ნეიტრალიზებისთვის, ეს უკანასკნელი კი, პირიქით, თავდაჭერილი იყო და მაღალ ტექნიკას აჩვენებდა, რაც შეეხება არბიტრს — დი ტონოს, იგი არ იბრძოდა დორდონის აღვირახსნილობის წინააღმდეგ. მატჩი მიმდინარეობდა რომის ოლიმპიურ სტადიონზე. მის უკანასკნელ წუთზე დორდონიმ შეურაცხყოფა მიაყენა ჟაირს, რომელმაც ძლიერად გაარტყა მცველს სახეში. ორივე ფეხბურთელი გააძევეს მინდვრიდან. ჟაირი ამ დროს თითქმის ისტერიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მის დაკავებას რამდენიმე კაცი მოუნდა. მატჩის ფინალმა (იგი დამთავრდა ფრედ — 1:1) მაყურებელთა აღშფოთება გამოიწვია, ისინი მინდორზე ისროდნენ ყველაფერს, რაც კი ხელთ გააჩნდათ. ზოგიერთი გულშემატკივარი ცდილობდა გასახდელშიც შევარდნილიყო, მაგრამ აქ კარაბინერთა გაუვალი კედელი იყო აღმართული.

თამაშის მეორე დღეს გამოცხადდა, რომ დორდონი დისკვალიფიცირებულია 1, ხოლო ჟაირი 4 თამაშით. ასეთმა გადაწყვეტილებამ საზოგადოებრიობის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. პრესა აღნიშნავს, რომ დორდონიმ შეურაცხყო ჟაირის ადამიანური ღირსებები, გამოიწვია იგი საჩხუბრად და ამიტომ მის მიმართ გამოტანილი მსჯავრი აშკარად ლიბერალურია. სწორედ ამიტომ წამოაყენეს დეპუტატებმა კითხვა, რათა მხარი დაუჭირონ ზანგ ფეხბურთელს და მომავალში ამგვარ ამბავს ადგილი არ ექნეს იტალიის სტადიონებზე.

ფეხბურთი

მოკლედ

● **შვეიცარიელმა** მსაჯმა ო. ჰუბერმა უარი განაცხადა იმსაჯოს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მესამე მატჩი ტურინის „იუვენტუსსა“ და ბრაუნშვაიგის „აინტრახტს“ შორის. მან გაიხსენა, რომ ერთხელ უკვე მსაჯობდა „იუვენტუსის“ თამაშს და იტალიელებმა მას არ მისცეს საშუალება დაენიშნა მათ კარში პენალტი, ამასთან ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენეს. ო. ჰუბერის ნაცვლად ამ თამაშს იმსაჯებს სხვა შვეიცარიელი არბიტრი — გ. დინსტი.

● **მონტევიდეო**. ურუგვაის დედაქალაქში შედგა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის მორიგი სხდომა. კომიტეტმა განიხილა საკითხი 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის მსაჯთა დანიშვნის თაობაზე. ამას გარდა, კომიტეტმა იმსჯელა თამაშის წესების ზოგიერთი პუნქტის დაზუსტებაზე (11-მეტრიანის დანიშვნა, საერთაშორისო მატჩებში 2 მოთამაშის შეცვლა, ამასთან, ამ რიცხვში შედის მეკარეც, აგრეთვე ახალი წესი მეკარეთათვის, რომელიც 4 ნაბიჯს გულისხმობს) და სხვ.

▲ **პრალა**. გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონმა 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში რაშკამ ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონობაც მოიპოვა. იგი 81 და 75,5 მეტრზე გადახტა და 223,4 ქულა მოაგროვა. მეორე იყო დივილა — 212,3 ქულა.

▲ **ბონი**. აპრილში ქალაქ ბამბერგის (გფრ) საჭადრაკო კლუბი თავისი არსებობის 100 წლისთავს აღნიშნავს. საზეიმო დღეებში კლუბის მესვეურნი ატარებენ დიდ საერთაშორისო ტურნირს, რომლის მონაწილე ოსტატებს დიდოსტატის წოდების მოპოვების შესაძლებლობა ექნებათ. ტურნირში ითამაშებენ საბჭოთა დიდოსტატებიც — მსოფლიო ჩემპიონი — ტ. პეტროსიანი და პ. კერესი.

▲ **სტენფორდი**. მ. შპიტცმა (აშშ) 220 იარდზე ბატერფლაით ცურვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 25-მეტრიანი აუზისთვის — 1.50,5, სანტა-კარლოს ნაკრებმა იგივე წარმატება მოიპოვა კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე — 3.29,2.

▲ **სიდნეი**. ავსტრალიის მოცურავეთა მეხიკოს ოლიმპიადისთვის შესარჩევ შეჯიბრებაში ამ ქვეყნის რეკორდები დაამყარეს: 1.500 მეტრზე თავისუფალი სტილით ვაჟთა ცურვაში — ბრეფმა — 16.51,9, ქალთა შორის 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში — უატსონმა — 1.09,1, ამავე დისტანციაზე ბრასით ცურვაში — პლაიფერმა — 1.17,9.

▲ **ტოკიო**. აქ გამოცხადდა, რომ იაპონია მეხიკოს ოლიმპიადის პროგრამის 18 სახეობაში 230 სპორტსმენს გამოიყვანს. იაპონელები მხოლოდ კალათბურთელთა ტურნირში არ მიიღებენ მონაწილეობას.



ახალი ამბები

● **ინცელი** (გფრ), 11 მარტი. მოციგურავეთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში კიდევ 2 მსოფლიო რეკორდი დამყარდა. ერთი რეკორდის ავტორი გახლავთ ნორვეგიელი ი. ერიქსენი, რომელმაც 1.000 მეტრი 1 წუთსა და 20,5 წამში გაირბინა. მრავალჭიდში ფენომენალური შედეგი უჩვენა ჰოლანდიელმა კ. ფერკერკმა — 172,058 ქულა. ესეც მსოფლიოს ახალი რეკორდია. ცალკეულ დისტანციებზე ფერკერკის მაჩვენებლები ასეთია: 500 მ — 40,4, 5.000 მ — 7.19,9, 1.500 მ — 2.03,7, 10.000 მ — 15.28,7. 10.000 მეტრზე რბენაში მაღალი შედეგი ჰქონდა ნორვეგიელ პ. ვ. გუტორმსენს — 15.16,1.

● **რიგა**, 11 მარტი. აქ დაიწყო საერთაშორისო ტურნირი ციგურებით სრიალში, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად ჩეხოსლოვაკიელებიც მონაწილეობენ. პირველი დღის შემდეგ წყვილთა სრიალში დაწინაურდნენ ლენინგრადელები მოსკვინა და მიშინი—79,1 ქულა. II ადგილზეც საბჭოთა სპორტსმენები როდნინა და ულანოვი არიან. ქალთა ერთეულების სრიალში ლიდერობს სსრ კავშირის ჩემპიონი გ. გრჟიბოვსკაია (მოსკოვი). ყინულზე ფიგურულ ცეკვაში წინ არიან ჩეხოსლოვაკიელები ნოვოტნა და გოლანი.

● **ლოძი**, 11 მარტი. საბჭოთა მოფარიკავეებმა ბ. მელნიკოვმა, უ. მავლიხანოვმა და მ. რაკიტამ მოიგეს აქ დამთავრებული საერთაშორისო ტურნირი — „ვოლოდიევსკის ხმალი“. მათ დაამარცხეს აშშ-ს (9:7), საფრანგეთის (10:6), უნგრეთის (9:7), იტალიის (10:6), გფრ-ის (13:3) და პოლონეთის (9:4) სპორტსმენები. მხოლოდ ერთი შეხვედრა — პოლონეთის II გუნდთან ფრედ 8:8 დაამთავრეს.

„ჩვენი პასუხი...“

გაჭირვების ტალკვესი

მკითხველები ბ. იმედაძე, ჯ. ხარდანაძე და ი. იმესაშვილი (სამივე — თბილისი) გვეკითხებიან: ვინ შემოიღო კოეფიციენტთა სისტემა და როგორ ხდება მისი გამოანგარიშება?

კოეფიციენტთა სისტემა შემოიღო ავსტრიელმა ოსტატმა, თეორეტიკოსმა და პრობლემისტმა ი. ბერგერმა. იგი გამოიყენება საუკეთესო შედეგის გამოსაანგარიშებლად, როცა ტურნირში რამდენიმე მონაწილეს ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვს, თვითეული მონაწილის კოეფიციენტი არის ჯამი იმ მეტოქეთა ქულებისა, რომლებსაც მან მოუგო, და ნახევარი იმ მეტოქეთა ქულებისა, რომლებთანაც შეხვედრა ყაიმით დაამთავრა.

სწორედ ამ მეთოდითაა გამოანგარიშებული ტუნისის ტურნირში ს. რეშევსკის, ვ. ჰორტისა და ლ. შტეინის კოეფიციენტი, რომელიც ამერიკელს უკეთესი აღმოაჩნდა.

მაგრამ კოეფიციენტთა სისტემა მთლად ობიექტური როდია. ამიტომ დიდმნიშვნელოვან ტურნირებში (მაგალითად, ტუნისის საზონათაშორისო ტურნირში), წესადაა შემოღებული დამატებითი შეჯიბრებების ჩატარება.

ქულათა თანაბარი რაოდენობის დროს გამარჯვებულის გამოსავლინებლად კოეფიციენტთა სისტემის პარალელურად გამოიყენება სხვა სისტემებიც — მოგებულ პარტიათა რაოდენობა, მოგებული მატჩების რაოდენობა (გუნდურ შეჯიბრებაში), გუნდების ერთმანეთთან შეხვედრის შედეგი და სხვ.

ამ ბოლო ხანს კოეფიციენტთა სისტემა ტურნირების ორგანიზატორებისთვის გაჭირვების ტალკვესად იქცა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი თანაგრძნობას უცხადებს პრეზიდიუმის წევრსა და გაზეთ „ლელოს“ რედაქტორს მ. კაკაბაძეს მამის

ვასილ მიხეილის ძე კაკაბაძის

გარდაცვალების გამო.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 8 უე 07427